საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/997
10.10.2024

ბრძანება

997-01-4-202410101710

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოსთვის მოთხოვნილი ინფორმაციის მიუწოდებლობის გამო შპს ,,გოლდენ ფიშ ბათუმისთვის“ (ს/ნ 445734331) ჯარიმის დაკისრების შესახებ

1. ფაქტობრივი გარემოებები

1.1 2024 წლის 04 სექტემბრიდან სააგენტომ დაიწყო შპს „პოსეიდონი 2022“-ის (ს/ნ 448058262) მიერ შემოტანილი საჩივრის (თარიღი: 03.09.2024; რეგ: N 01/4470) მატერიალური დასაშვებობის შესწავლა, რომელიც შეეხება კომპანიების შპს ,,გოლდენ ფიშ ბათუმისა“ (ს/ნ 445734331) და შპს ,,ზუნდაგის“ მიერ ,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის სავარაუდო დარღვევას, ხოლო შპს ,,გოლდენ ფიშ ბათუმის“ (ს/ნ 445734331) ნაწილში, დამატებით, ამავე კანონის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევასაც.

1.2 აღნიშნული შესწავლის ფარგლებში, იმის გათვალისწინებით, რომ სააგენტოსთვის ცნობილი არ იყო კომპანია შპს ,,გოლდენ ფიშ ბათუმის“ (ს/ნ 445734331) ელექტრონული ფოსტის მისამართი, 2024 წლის 02 სექტემბერს კომპანია - შპს ,,გოლდენ ფიშ ბათუმს“ (ს/ნ 445734331) საქართველოს ფოსტის მეშვეობით გაეგზავნა წერილი, რომლის საფუძველზე გამოთხოვილ იქნა საჩივრის დასაშვებობის გადაწყვეტის მიზნით შესაბამისი მტკიცებულება. შპს ,,გოლდენ ფიშ ბათუმის“ (ს/ნ 445734331) დირექტორმა ბატონმა თორნიკე ვაშაყმაძემ პირადად დაადასტურა წერილის ჩაბარების ფაქტი.

1.3 გამოთხოვილი ინფორმაციის წარმოდგენის ვადად კომპანიას განესაზღვრა 10 (ათი) სამუშაო დღე, რომლის ათვლაც დაიწყო წერილის ჩაბარების დადასტურების მომდევნო სამუშაო დღიდან და ამოიწურა 2024 წლის 20 სექტემბერს. კომპანიას სააგენტოს მიერ განსაზღვრულ აღნიშნულ ვადაში არ წარმოუდგენია გამოთხოვილი ინფორმაცია.

1.4 მოგვიანებით, სააგენტო განმეორებით შეეცადა ამავე კომპანიისგან იდენტური ინფორმაციის გამოთხოვას და მან 2024 წლის 26 სექტემბერს ხელახლა გააგზავნა საქართველოს ფოსტის მეშვეობით წერილი. პარალელურ რეჟიმში, იმავე დღეს, წერილი აიტვირთა შემოსავლების სამსახურის ავტორიზებულ სისტემაში. ადრესატი წერილს იმავე რიცხვში, 26 სექტემბერს გაეცნო. ამჯერად, სააგენტოს მიერ ინფორმაციის გამოთხოვის ვადად განისაზღვრა 5 (ხუთი) სამუშაო დღე, რომლის

ათვლაც დაიწყო წერილის გაცნობის თარიღის მომდევნო სამუშაო დღიდან და ამოიწურა 3 ოქტომბერს. თავის მხრივ, საქართველოს ფოსტამ ვერ შეძლო ახალი წერილის (რეგ: N 02/3548) ჩაბარება, რადგან ადრესატმა უარი განაცხადა მის ჩაბარებაზე. გარდა აღნიშნულისა, სააგენტოს კანცელარიამ 2024 წლის 09 ოქტომბრის მდგომარეობით დაადასტურა, რომ კომპანია შპს ,,გოლდენ ფიშ ბათუმის" (ს/ნ 445734331) მხრიდან სააგენტოში შემოსული არ არის რაიმე სახის საპასუხო კორესპონდენცია.

2. ნორმატიული რეგულირება

2.1. ,,კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტო უფლებამოსილია, ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს მისი საქმიანობის ან/და კონკრეტული ოპერაციის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის/დოკუმენტაციის (მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაციის) წარდგენა, რომელიც საჭიროა სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელებისთვის.

2.2. „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის თანახმად, მოთხოვნილი ინფორმაციის განსაზღვრულ ვადაში მიუწოდებლობის შემთხვევაში ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს დააკისროს ჯარიმა ამ კანონის 32-ე მუხლის შესაბამისად.

2.3. ,,საჩივრის ფორმის, მისი წარდგენის წესის და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურისა და ვადების დამტკიცების შესახებ" კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს მისი საქმიანობის ან/და კონკრეტული ოპერაციის შესახებ ნებისმიერი დოკუმენტი/ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური), რომელიც საჭიროა სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში და ხელს შეუწყობს საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენას.

2.4. ,,საჩივრის ფორმის, მისი წარდგენის წესის და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურისა და ვადების დამტკიცების შესახებ" კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის მიხედვით, სააგენტოსათვის ინფორმაციის მიუწოდებლობად ითვლება ინფორმაციის დადგენილ ვადაში მიუწოდებლობა.

2.5. „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ,,საჩივრის ფორმის, მისი წარდგენის წესის და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურისა და ვადების დამტკიცების შესახებ" კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანების მე-12 მუხლის

პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტოს მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის მისთვის მის მიერვე განსაზღვრულ ვადაში მიუწოდებლობის ან სააგენტოსთვის არასწორი ან არასრული ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში იურიდიულ პირს დაეკისრება ჯარიმა 3 000 ლარის ოდენობით, ხოლო ფიზიკურ პირს – 1 000 ლარის ოდენობით.

2.6. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ჯარიმის დაკისრება პირს არ ათავისუფლებს სააგენტოსთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებისგან.

3. სამოტივაციო ნაწილი

3.1. 2024 წლის 26 სექტემბრის წერილის (რეგ: N 02/3548) პასუხად, შპს ,,გოლდენ ფიშ ბათუმმა“ (ს/ნ 445734331) არ წარმოადგინა არავითარი ინფორმაცია/დოკუმენტაცია, არ მოითხოვა ინფორმაციის წარმოდგენის ვადის გაგრძელება და არ შეუტყობინებია სააგენტოსთვის ინფორმაციის მოუწოდებლობის რაიმე შესაძლო საპატიო მიზეზის/მიზეზების არსებობის თაობაზე.

3.2. 2024 წლის 26 სექტემბრის (რეგ: N 02/3548) წერილთან დაკავშირებით, სააგენტო აღნიშნავს, რომ ინფორმაცია გამოთხოვილია ,,საჩივრის ფორმის, მისი წარდგენის წესის და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურისა და ვადების დამტკიცების შესახებ“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, რომლის თანახმად სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს მისი საქმიანობის ან/და კონკრეტული ოპერაციის შესახებ ნებისმიერი დოკუმენტი/ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური), **რომელიც საჭიროა სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში და ხელს შეუწყობს საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენას.** აღსანიშნავია, რომ სააგენტოს წერილში (თარიღი: 26.09.2024; რეგ: N 02/3548) მითითებულია ყველა ის მონაცემი, რომელთა მითითებაც მოთხოვნილია ,,საჩივრის ფორმის, მისი წარდგენის წესის და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურისა და ვადების დამტკიცების შესახებ“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანების მე-9 მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე. სააგენტო განმარტავს, რომ ,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ის ვალდებულია დაიცვას მისთვის ცნობილი ნებისმიერი სახის კონფიდენციალური ინფორმაცია, თუმცა აღნიშნული ვალდებულების არსებობა არც ერთ ეკონომიკურ აგენტს არ ანიჭებს უფლებას უარი განაცხადოს გამოთხოვილი ინფორმაციის მოწოდებაზე.

3.3. შპს ,,გოლდენ ფიშ ბათუმი“ (ს/ნ 445734331) ვალდებული იყო წარმოედგინა სააგენტოსთვის საჩივრის დასაშვებობის ეტაპზე მნიშვნელოვანი გარემოებების

დადგენა/დაზუსტებისათვის საჭირო და სააგენტოს შესაბამისი წერილებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია.

3.4. სახეზე არ არის ,,საჩივრის ფორმის, მისი წარდგენის წესის და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურისა და ვადების დამტკიცების შესახებ“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანების მე-11 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მხარის დასაბუთებული განცხადება, დოკუმენტის/ინფორმაციის მოთხოვნილი ინფორმაციის არქონის შესახებ.

3.5. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, აგრეთვე, ,,საჩივრის ფორმის, მისი წარდგენის წესის და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურისა და ვადების დამტკიცების შესახებ“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანების მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტის თანხმად, სააგენტოს მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის მისთვის მის მიერვე განსაზღვრულ ვადაში მიუწოდებლობის შემთხვევაში, იურიდიულ პირს დაეკისრება ჯარიმა 3 000 ლარის ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17[1] მუხლის მე-4 პუნქტისა და 32-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კონკურენციის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის №288 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

სააგენტომ დაადგინა:

1. დადასტურდეს შპს ,,გოლდენ ფიშ ბათუმის“ (ს/ნ 445734331) მხრიდან სააგენტოს მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის ფაქტი.

2. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, შპს ,,გოლდენ ფიშ ბათუმს“ (ს/ნ 445734331) დაეკისროს ჯარიმა 3 000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით.

3. შპს ,,გოლდენ ფიშ ბათუმს“ (ს/ნ 445734331) დაევალოს საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს მიერ 2024 წლის 26 სექტემბრის N 02/3548 წერილით მოთხოვნილი ინფორმაციის 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში წარმოდგენა.

4. ბრძანება მისი მიღებისთანავე გადაეგზავნოს შპს ,,გოლდენ ფიშ ბათუმს“ (ს/ნ 445734331).

5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წინამდებარე აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

6. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

ირაკლი ლექვინაძე



თავმჯდომარე